პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
7 აგვისტო
№ 181 (18123)
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძმეთ გამოაჩინა

ზ ორის პედაგოგიური ინსტიტუტის, თბილისის ინდუსტრიული და თელავის სამშენებლო ტექნიკუმების ახალგაზრდა სტუდენტი და მოხალისე მესამე სემესტრს ატარებს თავისი შრომითი ტრადიციებით ცნობილ ბათუმის საზღვაო ნავსადგურში.

ახალგაზრდები გაერთიანებულნი არიან დოკერთა ოთხ საწარმოო ბრიგადად, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი დამრიგებლები ოთარ აბაშიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ზაურ ჩაჩუა, ნუგზარ ორბელიძე. დოკერთა მოხალისე თანაშემწეები მუშაობენ გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე, თავიანთი წელილი შეაქვთ ნავსადგურის კოლექტივის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებაში.

სურათზე: თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეები ეშაზარ ხითარიშვილი, ნიკოლოზ გაბელია, ბუბუტი ლომაძე, გელა გურგენაშვილი და ივანე ბროლაძე მუშაობენ გამოცდილი დამრიგებლის დოკერ-მექანიზატორის ოთარ აბაშიძის ხელმძღვანელობით.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 17 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბახვა თევდორეს ძე ლობჟანიძე საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

ქ. თბილისი. 1981 წლის 3 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ბაქოს სამედ ვურღუნის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრავალრიცხოვანი საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და თბილისში 1981 წლის ივნისში გასტროლების ფარგლებით ჩატარებისათვის ბაქოს სამედ ვურღუნის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 5 აგვისტო.

საერთაშორისო ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა!

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე აღსავსეა საბჭოთა ადამიანების მამაცური შრომის მაგალითებით. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრის ძირითადი ნიშან-თვისება ის არის, რომ მატერიალური დოვლათის შექმნისათვის მის პრაქტიკულ მოღვაწეობას განსაზღვრავს მაღალი იდეური მრწამსი, იმის ღრმა წვენება, რომ ყველაფერი კეთდება კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ბედნიერებისათვის.

დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ჩვენი საზოგადოების პრაქტიკული საქმიანობა და კომუნისტური შეგნება განვიხილოთ როგორც სოციალური პროგრესის ერთიანი საფუძველი.

ამიტომ, ცხადია, კომუნისტური პარტია დღეიადაგ ზრუნავს იდეოლოგიური მუშაობის, კომუნისტური აღზრდის სრულყოფისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მასალებში, ამ ყრილობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში განსაზღვრულია იდეოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესება და სრულყოფის მაგისტრალური ხაზი და მოცემულია კონკრეტული ამოცანები ახალი ადამიანის — პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის აღზრდისათვის.

პარტიამ უპირველეს მიზნად დაგვისახა, რომ ცხოვრებასთან პრომაგანდის კავშირის განმტკიცებით მივაღწიოთ ორგანიზატორულ-სამეურნეო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობას. ამის მყარ საფუძველს კი მოგვცემს შრომელებისათვის ყრილობის მასალების, მისი მითითებების ფართოდ განმარტება. ამით დავუხმარეთ მათ შეიგნონ თავიანთი ადგილი და როლი პარტიის დიად წინასწარმეტყველთა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სწორედ ამას ისახავდა მიზნად თბილისში ამას წინათ გამართული იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი-სემინარიც. მან ჩამოაყალიბა რეკომენდაციები იდეოლოგიური მუშაობის შესავარი მიმართულებებისათვის, რომლებსაც XXVI ყრილობის გადწყვეტილებებთან ერთად საფუძვლად უდევს თბილისში საიუბილეო ზეიმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები.

რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე ჟენშარიტად ენციკლოპედიური გაკვანებით, მთელი სიღრმითა და ფასეულობებით იყო მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება უკეთ უზრუნველყოფილ იდეოლოგიურად ჩვენი დიდი სამეურნეო-პოლიტიკური პროგრამა.

განსაკუთებული კი შართლაც ბევრი გვაქვს. მოცემული ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების გზებს რომ ეხებავ, პარტიას, პირველყოვლისა, მხედველობაში აქვს ის, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაგზარდოთ კომუნისტთა საზოგადოებრივი აქტიურობა, შრომითი კოლექტივის ყოველ რგოლში მივაღწიოთ მშრომელთა მობილიზაციისა და ახე უზრუნველყოფილ კოლექტივის მართვის ხარისხის გაუმჯობესებისა.

ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ძირეულ პარტიულ რგოლებს, რომლებმაც საჭირო დონემდე უნდა აამაღლონ თითოეული კომუნისტის პასუხისგებლობა. ბევრ საწარმოში პარტიული ჯგუფები წარმატებით ირთმევენ თავს ამ ამოცანას. კომუნისტები ინტენსიურად ეწევიან პარტიის პოლიტიკის პროპაგანდას. მშრომელებთან საუბრებს, ღია პარტიული კრებების ჩატარებას, სწორად ორგანიზებულ სოციალისტურ შეჯიბრებას შესანიშნავი ნაყოფი გამოაქვს — აქ ყოველთვის მაღალია საწარმოო სამუშაოთა დონე და ხარისხი.

ამ მხრივ სამაგალითოდ არის საქმე თბილისის მეტროპოლიტენში. საამქროთა პარტორგანიზაციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას და ალწევენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავების სანმუშო მაჩვენებლებს. ამჟამად აქ ათასამდე კომუნისტური შრომის დამკვრელია, სოლო კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება მინიჭებული აქვს სამოცზე მეტ ბრიგადას, საამქროსა და უბანს. მოწინავე გამოცდილების განზოგადებისათვის იყენებენ ახეთ საშუალებებს, როგორიც არის ლექციური პროპაგანდა, კედლის ან მრავალტირაჟიანი გაზეთები, ფალსაჩინო აგიტაცია და ა. შ.

ახლა სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, ბუთწლიანი გეგმების განუბრელი გახორციელება უთუოდ არის დამოკიდებული მახეთ შეგნებაზე. სწორედ იმის შეცნობა და გაზრება, რომ თითოეული ჩვენგანს თავისი მოკრძალებული, მაგრამ საჭირო წვლილი შეაქვს საერთო-სახალხო საქმეში, განაპირობებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას. სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა სწორედ მახეთს შეგნებაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობაში მიმდინარე იდეოლოგიურ პროცესებს, უნდა ჰქონდეთ უნარი ეკონომიური მოღვაწეობის ყოველი მომენტი შეაფასონ პოლიტიკური ხაზოვნით, განუმტკიცონ მშრომელებს იმის რწმენა, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ხალხისათვის ზრუნვის პოლიტიკაა.

სწორად ითქვა იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, რომ ეკონომიკისადმი პარტიული მიდგომა გულისხმობს უნარს — დავალებათ მიმდინარე საქმეების მიღმა ხახოლოო მაზანი — ხალხის კეთილდღეობა. მივაღწიოთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა რგოლის მუშაობის პრაქტიკაში საშუალებებისა და მიზნის შესაბამისობას — ზოგადად, სწორედ ეს არის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დანიშნულება.

სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა გულისხმობს იმას, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ხულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ერთი მხრივ, ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების არასაკმარისი დანერგვა ან ხელის შრომა, ზოლო, მეორე მხრივ, კადრების დაბალი კვალიფიკაცია, მათი დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რაც თავისთავად უდიდეს უარყოფითს გავლენას ახდენს საერთო გეგმების შესრულებაზე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

იდეოლოგიური უზრუნველყოფა აუცილებლად გულისხმობს ახალი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ადამიანის კომპლექსურ აღზრდას, რომელიც მოიცავს როგორც შრომითს, ისე ზნეობრივ და იდეურ წრთობას. სწორედ ამ პროცესში ხდება შრომელისათვის იმის ჩანერგვა, რომ თავისი ალალი შრომით იგი ვალს იხდის ქვეყნისა და ხალხის წინაშე. საბჭოთა ადამიანის მოკალაქეობრივი აღზრდა გულისხმობს ახალბენ შემოქმედებითი ინიციატივის, თაოსნობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებას, დისციპლინის, თავისი საწარმოს ბატონ-პატრონის გრძნობის გამომუშავებას. აი ამ კეთილ თვისებათა დანერგვა ევალება, უპირველეს ყოვლისა, პარტიულ ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს. როგორ შეიძლება დადებითად შევაფასოთ პარტორგანიზაციის მუშაობა, თუ იგი არ ცდილობს მზრი დაუბროს კომუნისტთა ყოველ საქმიან წამოწყებას, მათს თაოსნობას; ხოლო წარმატება უეჭველად გარანტირებული აქვს იმას, ვინც ყურად იღებს კომუნისტთა წინადადებას. თბილისის ხ. მ. კაროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის № 15 მექანიკური საამქროს მუშებმა ბევრი საინტერესო ინიციატივა გამოიჩინეს. მაგალითად, ცალკეული კომუნისტების წინადადებით გაჩაღდა ბრძოლა საამქროს მუშაკების სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მოეწყო შაბათობა საწარმოს ტერიტორიის კეთილმოსაწყობად, აგრეთვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ მეთოდით, რაც შესაძლებლობას იძლევა ყველასთვის გახდეს ცნობილი შეჯიბრების ყოველდღიური შედეგები. კომუნისტთა წინადადებებს აქტიურად უჭერს ხმას და საწარმოსა და მუშათა სასარგებლოდ მათს განხორციელებას უზრუნველყოფს საამქროს პარტიული ორგანიზაცია.

ყველას ეამაყება და ახარებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებები. — მეჩაიეობისა და მევენახეობაში საქართველომ მეათე ხუთწლედში ხომ რეკორდულ მოსავალს მიაღწია. ეს მიღწევები დიდი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. ამ მუშაობისა და ყურადღების შენელება ერთი წუთითაც არ შეიძლება, თუ გვსურს კვლავ ვამრავლოთ ქვეყნის ხვავი და ბარაქა.

ამ დღეებში კი საგანგებო ფაქტის მოწმენი გავხდით. წითელწყაროს რაიონის განთქმულ სოფელ არბაზიაში კოლმეურნეობის მესვეურთა დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით ასობით ჰექტარი ვენახი განადგურდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს დააკლდება სამი ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ყურძენი.

ამისათვის მკაცრად დაიხასიათენ დამნაშავენი და მათ შორის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ზ. ჯამალაშვილი, რომელმაც ვერ დარაზმა კომუნისტებები, მშრომელები სიძნელეთა გადასალახავად. ამავე დროს, როგორ შეიძლებოდა რესპუბლიკის მევენახეობისათვის ამ ძნელი მდგომარეობიდან გამოსვლა, ეს შესანიშნავად დაგვანახეს კახეთის მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და ჯამეთა. მეურნეობების მშრომელებმა.. ამ მხრივ განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ სიღნაღის რაიონის ანგის, ტიბაანის, ჯუგაანის, ვაქირის მევენახეები. ეგვი არ არის, რომ სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა აქ თავის გადაწყვეტ როლს ასრულებს.

მშრომელთა იდეური, კომუნისტური აღზრდის ამოცანები მუდამ უნდა იდგეს პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ყურადღების ცენტრში. ყოველი საკითხი, რომელიც პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება, უშუალოდ უკავშირდება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ამას წინათ თბილისში პარტიის ლენინის რაიკომმა, საგანგებოთ მართებულად, დიდი ყურადღება დაუთმო მშრომელთა და აუხანგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს, როცა განიხილა სკკპ XXVI ყრილობის მასალებიდან და საქართველოს საიუბილეო. ზეიმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებიდან გამომდინარე ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. ცხადია, საკითხის ასე გაჯარებამ პლენუმს დიდი მახვეტაბურობა მოიანება.

სამეურნეო და პრაქტიკული ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, ცხადია, ვერ მივაღწევთ თუ არ გამოვიყენებთ ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მდიდარ და მრავალფეროვან არსენალს. მხოლოდ დახვეწილი ფორმებით და მეთოდებით, ნაცადი სიუალებებით შეგვიძლია დავეუფლოთ ყოველი ადამიანის გულისა და შეგნებისკენ მიმავალ გზას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს საქმიანობას ახასიათებს ერთგვარი ზედაპირულობა და ფორმალიზმი, მუშაობის ფორმები მოწყვეტილია ცხოვრებას და ხშირად მოვლენებს კუდში მიჰჩანჩალებს. ეს არათუ არ იძლევა სასურველ შედეგს, არამედ ზიანს აყენებს საქმეს, სკკპ XXVI ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა წარიმართოს ცოცხლად და საინტერესოდ, გვერდს არ უნდა ვუვლიდეთ მწვავე თემებს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მოვახდინოთ საბჭოო ზემოქმედება შრომითი კოლექტივების მორალურ ატმოსფეროზე.

საჭიროა ავამაღლოთ თითოეული კომუნისტის, ყოველი პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა ყველა იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ მოღვაწეობას ახასიათებს. როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის შინაარსი უფრო აქტუალური გახდეს, ხოლო მისი ფორმები საბჭოთა ადამიანების თანამედროვე მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს შეესაბამებოდეს.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია! — ამას მოითხოვენ დღეს პარტია და ხელისუფლება თითოეული საბჭოთა მოქალაქისაგან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი მეთერთმეტე ხუთწლედში ტიუმენის ოლქის სარეწაოებში მილიონი ტონა ნავთობისა და მილიარდი კუბური მეტრი გაზის სადღეღამისო მოპოვების ვადამდე მიღწევისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად ოლქის შრომითი კოლექტივების ინიციატივის შესახებ.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში კმაყოფილებით არის აღნიშნული, რომ ტიუმენის ოლქის მენავთობეთა, გაზის მომპოვებელთა, გეოლოგთა, ენერგეტიკოსთა, მშენებელთა, სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაკთა კოლექტივებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომ ოლქის ნავთობისა და გაზის სარეწაოებში 1984 წლის აპრილში მიაღწევენ მილიონი ტონა ნავთობის სადღეღამისო მოპოვებას, 1985 წლის პირველ კვარტალში კი მილიარდი კუბური მეტრი გაზისას, და ამით უზრუნველყოფენ ნავთობისა და გაზის მოპოვების იმ დავალებების ვადამდე შესრულებას, რომლებიც სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით არის განსაზღვრული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტიუმენის ოლქის შრომითი კოლექტივების ინიციატივა როგორც პატრიოტული მისწრაფება — კონკრეტული საქმეებით შეასახან ხორცი სკკპ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებულ კურსს დასავლეთ ციმბირის ნავთობ-გაზის კომპლექსის შემდგომი დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ნავთობის მრეწველობის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, დასავლეთ ციმბირის ნავთობ-გაზის კომპლექსის ფორმირების მონაწილე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, ტიუმენის ოლქის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს დაავალა ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ამ საგულისხმო თაოსნობას, შექმნან საჭირო პირობები ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, იმ მხარეებისა და ოლქების პარტიულ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზეც არის ნავთობგაზმომპოვებელი საწარმოები, რეკომენდაცია მისცა ფართოდ გაშალონ მუშაობა ტიუმენის ოლქის შრომითი კოლექტივების ინიციატივის გასავრცელებლად სოციალისტური შეჯიბრების გასავითარებლად ნავთობისა და გაზის მოპოვების, ჭაბურღილების გაყვანის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის ობიექტების მშენებლობისა და ამოქმედების მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქციებს დავალათ სისტემატურად გააშუქონ ტიუმენის ოლქის საწარმოთა, ორგანიზაციათა კოლექტივებისა და წარმოების ნოვატორების მოწინავე გამოცდილება შინაგანი რეზერვების გამოსავლენად, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად და ამის საფუძველზე დღე-ღამეში მილიონი ტონა ნავთობისა და მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვების მისაღწევად.

„მშვიდობის მარში-81“-ის მონაწილეებს

ძვირფასნო მეგობრებო!

მოზრარული ვარ თქვენი მომართვის პასუხად მხურვალედ მოგესალმოთ „მშვიდობის მარში-81“-ის მონაწილე ქალებსა და კაცებს, რომლებმაც განვლეთ ასობით ძნელი კილომეტრი, გამოიჩინეთ ნამდვილი ვაჟკაცობა, რათა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის გემცნოთ მგზნებარე მოწოდება — არ განაღაგონ ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღი, შეაჩერონ გამაღეტული შეიარაღება, უზრუნველყონ ევროპის ხალხთა მშვიდობა და უშიშროება. თქვენი ინიციატივა მოწმობს, თუ რაოდენ მატულობს ევროპის ხალხთა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ იქმნება საფრთხე გადააქცინონ დასავლეთ ევროპის ქვეყნები გამანადგურებელი ბირთვული ომის პოლიგონად.

საბჭოთა ადამიანები დიდი ყურადღებითა და სიმპათიით ადევნებდნენ თვალს „მშვიდობის მარში-81“-ის მსვლელობას. ჩვენთვის ახლობელი და გასაგებია ის კეთილშობილური მოტივები, რომლებმაც მარშის მონაწილეები ესოდენ გრძელ გზას გაუყენა. სზადასზვა ქვეყნის ათასობით ადამიანს აღუძრა სურვილი შეერთებოდნენ ამ ინიციატივას.

საბჭოთა კავშირის პრინციპული და თანამიმდევრული პოლიტიკაა იბრძოდეს დაძაბულობის შენელებისათვის, შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ჩვენ მზარა ვუმკერთ ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის შექმნის იდეას, ვიღვწოთ, რომ მთელი ევროპის კონტინენტი გადაიქცეს მშვიდობის, უშიშროებისა და კეთილმეზობლობის ზონად. ჩვენ ვადგავართ თანაბარი უშიშროების პრინციპს და სახიფათოდ და შეუუწყნარებლად მიგვაჩნია, რომ ცდილობენ შეიარაღების გაძლიერების გზით მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას.

ყველა სადავო საკითხი, მათ შორის ის საკითხებიც, რომლებიც საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვულ იარაღს ეხება, თანასწორუფლებიანი და ეფექტიანი მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს. ასეთი მოლაპარაკებისათვის ჩვენ მუდამ მზად ვართ.

„მშვიდობის მარში-81“-ის მონაწილეებს და თქვენი სახით ყველას, ვინც შეშფოთებულია ომის საფრთხის ზრდით და არ სურს ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური ტრაგედიის განმეორება, გისურვებთ ახალ ძალებსა და წარმატებებს მშვიდობიანი ევროპისათვის, მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში.

ლ. ბრეჟნევი.

მთავარი საზრუნავია კადრები

გაიმართა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი საქართველოს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო საქმიანობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადების, აღზრდის და განაწილების პროცესების გეგმაზომიერი მართვის გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს საბჭოს სექციების ხელმძღვანელმა ამხანაგებმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა, გ. ნ. ენუქიძემ, გ. ვ. კოლბინმა, ზ. ა. ჩხეიძემ და ს. ე. ზაბეიშვილმა.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ო. დ. ქინქლაძის ანგარიში რესპუბლიკის პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დახვეწის ღონისძიებათა შესახებ.

სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, და აღნიშნა, რომ საბჭოს საქმიანობის მეოხებით სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის წამყვან მიმართულებებსა და უბნებს. მაგრამ ძიება კვლავ გრძელდება და რაიმეს თქმა შექმნილი სისტემის შესახებ ჯერ ნაადრევია.

კადრების აღზრდის, მომზადებისა და განაწილებისათვის მუშაობა მთავარი მაგისტრალია თავიდან ბოლომდე, რესპუბლიკის ყველა პარტიული კომიტეტის, ყველა ხელმძღვანელი ორგანოსა და დაწესებულების საქმიანობაში. საჭიროა აგრეთვე ძირფესვიანად გარდავქმნათ იმ რგოლებისა და სამსახურების მუშაობა, რომელთა მეშვეობითაც უშუალოდ პრაქტიკულად ხორციელდება საკადრო პოლიტიკა. საკოორდინაციო საბჭოს სექციებმა ხელი უნდა შეუწყონ ამას.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის სისტემა, მისი ორგანიზაცია, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. დღესდღეობით რესპუბლიკაში მცირეა იმ სამინისტროებისა და უწყებების რიცხვი, რომლებსაც შეიძლიათ სხვებს მისაბაძი მაგალითი მისცენ. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გამოცდილება, რომელმაც ახლადდაარსებულ შექმნა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მოფიქრებული, ეფექტიანი სისტემა.

საბჭოს სექციების მუშაობის მთავარი კრიტერიუმია პრაქტიკა. სწორედ ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილების ძიება და კონკრეტული საქმის შედეგებზე მათი გავლენა უნდა გახდეს საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპი.

გამოითქვა რეკომენდაციები რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მისამართით, რომელიც უნდა გახდეს წამყვანი სამეცნიერო-მეთოდიკური და ორგანიზაციული ცენტრი და აქტიურ გავლენას ახდენდეს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების დარგის საქმის ვითარებაზე.

საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა 1981 წლის მეოთხე კვარტალისა და 1982 წლის პირველი ნახევრის მუშაობის გეგმა, აგრეთვე განიხილა წინადადებები, თუ როგორ შეასრულონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის რეკომენდაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ცენტრის შექმნის თაობაზე.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ო. ე. ჩერქეზიი, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საინფორმი).

„დესანტი“ ყამირზე გაიგზავნება

დამძიმდა თავთავი ყაზახეთის პურის ყანებში. კიდევ ცოტა ხანი და გაჩაღდება ბრძოლა ყამირის დიდი პურისათვის. ქვეყნის მარცვლეულის მთავარ ყანაში მკაში ტრადიციისამებრ მონაწილეობენ ქართველი მექანიზატორებიც. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იქნება. ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო კომბაინერები ყამირელებს დაეხმარებიან მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

საინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამმართველოს უფროსმა ბ. რაბინოვიჩმა თქვა:

— ასი საუკეთესო მექანიზატორი, წლევანდელი მკის გმირები აგვისტოს მეორე ნახევარში კავშირის, საგზურებს მიიღებენ. რაზმი ძირითადად გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის, საგარეჯოს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების კომბაინერებისაგან კომპლექტდება. ქართველმა მექანიზატორებმა არაერთხელ აჩვენეს მუშაობის მაღალი კლასი ყაზახეთის მინდვრებზე, მათ ბევრჯერ მოუღიათ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების, ყამირის მეურნეობების საპატიო ჯილდოები და პრემიები.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავი საქართველოს წარგზავნილთ ჩაიყვანს აქტიუბინსკში, იქიდან კი ისინი თურგის ოლქში გაემგზავრებიან.

ეკვი არ არის, რომ ქართველი მზვალელ-მთესველები ამჯერადაც მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევენ მეგობრებს, რომლებიც მათ ელიან მორეულ, მაგრამ ყოველი ჩვენგანისათვის ასე ახლობელ ყამირზე. (საინფორმი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

დღეს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბაქოს სამედ ვურღუნის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. ეს ძალზე საინტერესო თეატრალური კოლექტივის დამსახურებელი ჯილდოა, რომელიც თბილისში გამართული გასტროლების დროს მაყურებელს მრავალფეროვანი ბრწყინვალე რეპერტუარით წარუდგა.

ბაქოელ მსახიობთა სპექტაკლები თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა. გასტროლებისადმი თბილისელთა ინტერესი იმანაც განსაზღვრა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურულ ურთიერთობას სახელოვანი ტრადიციები აქვს, რომლის ფესვები შორეულ წარსულშია. ისინი გასაოცარსნებულია ზაჭარია ფალიაშვილისა და უზეირ ჰაჯიბეკოვის, მოძმე ხალხების ხელოვნების სხვა ცნობილი მოღვაწეების სახელებით. რეჟ

პარტიული ცხოვრება

კირველადი ორგანიზაცია — კარტიის საფუძველი

ახლებური მუშაობის ეფექტი და პასუხისმგებლობა

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ საზეიმო სხდომაზე ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ არსებული რამდენიმე პრობლემა გამოყო. მე, როგორც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა მუშამ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე სტატეს: „თქვენ ჩამორჩენი სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მეტადრე ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მხრივ“. მწარე სიმართლეა. არადა ჩამორჩენის დაძლევა შეიძლება. ამის თქმის უფლებას ჩემი გამოცდილება მაძლევს.

ერთ დროს მოწინავე ^ ბანდოს კოლმეურნეობა მეცხრე ხუთწლედში საგრძნობლად ჩამორჩა. მემინდვრეობის „საკვლევი ბრიგადის“ გარკვეული წარმატებები კი ჰქონდათ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველდა, განსაკუთრებით სავალალო დღეში იყო მეცხოველეობა. საჭირო იყო გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება. ასეც მოხდა: კოლმეურნეობის სანგარიშო-საარჩევნო კრებამ, რომელმაც მეცხრე ხუთწლედის შედეგები და მეათე ხუთწლედის ამოცანები განიხილა, გამგეობის თავმჯდომარედ ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, კომუნისტი მ. საარიანი აირჩია. სოფლის კომუნისტებმა მეც დიდი ნდობა გამომიცხადეს და მალე მემინდვრეობის ბრიგადირობიდან კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად ამირჩიეს.

არ დამავიწყდება, რა საგონებელში ჩავვარდით თავდაპირველად ჩვენ, კოლმეურნეობის ახალ ორჩეული პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. ჩამორჩენას სხვადასხვა მიზეზით ვხსნიდით. მაგრამ მთავარი მაინც მინდობილი საქმისათვის სპეციალისტთა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა, აგრეთვე შრომის დისციპლინის დაქვეითება იყო. ეს გახლდათ იმის მიზეზიც, რომ ეფექტიანად ვერ ვიყენებდით სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასადიდებლად კოლმეურნეობაში არსებულ სხვადასხვა რეზერვს.

სწორედ ამიტომ, როგორც პარტიული კომიტეტის, ისე გამგეობის პირველსავე სხდომებზე, შემდეგ კი ორი პარტიულ და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე საკმაოდ გულახდილად და მოურიდებლად ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე.

გადაწყდა, საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ერთი მხრივ, ფართოდ გამოგვეყენებინა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური და მორალური წახალისების თანამედროვე პროგრესული ფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, შრომის დისციპლინისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ყველა ფაქტი ფართო მსჯელობის საგნად გვექცია და მასზე სათანადო რეაგირებაც მოგვეხდინა.

ასეც მოვიქეცით. პარტიული კომიტეტის რეკომენდაციით კოლმეურნეობის გამგეობამ, შემდეგ კი საერთო კრებამ დაადგინა გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისათვის დამატებითი ანაზღაურებანი, ხოლო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის — ყოველკვარტალური ფულადი პრემიები და სიგელები.

სულ მალე შრომის დისციპლინის დარღვევის პირველსავე შემთხვევაზე მკაცრად ვიმსჯელეთ, ხოლო საკოლმეურნეო შრომის ცალკეულ უბნებზე დავაწინაურეთ ენერგიული და საქმის მცოდნე ახალგაზრდა კომუნისტები, რომელნიც თავდაზვე ჩავბიძეთ ეკონომიკური განათლების ქსელში.

ყოველივე ამან კარგი შედეგი გამოიღო. მეათე ხუთწლედის პირველსავე წელს გაუმჯობესდა შრომის დისციპლინა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი, მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, კარტოფილის, საკვები კულტურების მოსავლიანობა, სასაკეთო ძვრები მოხდა მეცხოველეობაშიც — გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა.

შემდგომ წლებში კიდევ უფრო განვამტკიცეთ მოპოვებული წარმატებები და მივაღწიეთ იმას, რომ ახლა ჩვენთან მემინდვრეობაში არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა აღარ არის. შარშან, მაგალითად, ყველა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო დავალებები. მაგრამ იმ ბრიგადებმა, რომელთაც კომუნისტები მ. დანელიანი, მ. თუმასიანი და რ. კოფიანი ხელმძღვანელობენ, კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მოიწიეს. თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 32-36 ცენტნერამდე მარცვლეულისა და 195-200 ცენტნერამდე კარტოფილის მოსავალი.

ასევე უჩამორჩენილებოდ მუშაობენ მეცხოველეობის ფერმის მუშაკები. შარშან, მაგალითად, კოლმეურნეობაში თითო ძროხაზე უნდა მიგვეღო 2.325 კილოგრამი რძე. ეს დავალება ყველა მწველამ გადაჭარბებით შეასრულა. ყველაზე მეტი კი — თითო ძროხაზე 2.700 კილოგრამი რძე მიიღო სოციალისტური შრომის გმირმა, კომუნისტმა ყენია პაპოიანმა, მას მხოლოდ 50 კილოგრამით ჩამორჩა თავისივე მოწაფე, სკკპ წევრობის კანდიდატი, ახალგაზრდა მწველავი ლეილა ჩლოიანი. ეს მწველავები წელსაც ერთმანეთს ეჯიბრებიან.

მეათე ხუთწლედის მანძილზე წინა ხუთწლედთან შედარებით კოლმეურნეობაში თითო ძროხის წველადობა 700 კილოგრამით გაიზარდა, მარცვლეულის საერთო წარმოება 50, კარტოფილის —51, ხორცის — 40, რძის — 30, შაქრის — 10 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობისა და მემინდვრეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმა-დავალებები როგორც შარშან, ისე მთელ მეათე ხუთწლედში დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ.

კოლმეურნეობის საერთო შემოსავალმა მარტო შარშან 16 მილიონ მანეთს გადაჭარბა, სუფთა მოგება მივიღეთ 360 ათასი მანეთი. ერთი კაცდღის ღირებულებამ 7 მანეთი შეადგინა.

მიღწეული პოზიციების დათმობას არ ვაპირებთ. პირიქით — წელს კოლმეურნეობაში ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის 6 თვის დავალება 1 ივნისისათვის გადაჭარბებით შესრულდა. თითოეული ძროხის საშუალო წველადობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 32 კილოგრამით გაიზარდა. გარდა ამისა, ჩვენმა მეცხოველეებმა ივალდებულეს, რომ პირუტყვისათვის ზამთრის საკვების დამზადება 20-25 პროცენტით გაზარდონ, ხოლო მეცხოველეობის საერთო პროდუქტიულობა — 10-15 პროცენტით.

ყოველივე ამან ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია, რომ თუ მოინდომებ, თუ წარუმატებლობის მიზეზებში სწორად გაერკვევი, აღმოიჩენ მთავართა შორის მთავარ მიზეზს და მკლავებდაკაპიწებული შეებრძოლები მას, ცოტა ხანში უკეთმა წასული საქმე წალმა შეტრიალდება და არაერთხელ მოგგვრის წარმატების სიხარულს. ასეთი გამარჯვება ვიზეიმეთ ამ წლის დასაწყისში, როცა ჩვენ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა გადმოგვეცა და კოლმეურნეობის სახელი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დიპლომზე შეიტანეს.

ჯილდო, დამეთანხმებით, საამაყო და საპატიოა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს. მაგრამ ნაკლის არ გვეშინია, რადგან ვიცით მთავარი, ვიცით რა გზას უნდა დავადგეთ, რომ კიდევ უფრო გავუმჯობესოთ ეკონომიკური მაჩვენებლები. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან: მეცხოველეობაში შედეგები კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ მეცხოველეობის ფერმის მუშაკებსაც სხვებივით თავდადებით ემუშავათ. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ამ დარგს ჩვენთან დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი კარგად ავფონ-დავწონეთ, კარგწონდით. რომ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელებაში კერძოდ კი, ხორცის წარმოების გადიდებაში მეცხოველეობის განვითარებას უთუოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამასწინათ პარტიულ კრებაზე ვიმსჯელეთ და გადაწყვეტეთ, კოლმეურნეობაში გავაშენოთ მეცხოველეობის ახალი ტიპური ფერმა, სადაც უზრუნველყოფთ ^ ზრამატეკვადი სამშაობების მექანიზაციას, დავნერგავთ მეცნიერების უახლეს მიღწევებს და მოწინავეთა გამოცდილებას, რაც საშიალებას მოგვცემს რენტაბელური გავხადოთ ეს დარგი, გავადიდოთ ხორცის წარმოება და, რაც მთავარია, ვიმუშაოთ ისე, რომ საკოლმეურნეო შრომის არც ერთ უბანზე არ გვყავდეს ჩამორჩენილები.

დასასრულ ერთხელ კიდევ უნდა გავმახვილო ხაზი მთავარს — მოწადინებას, და თუ ეს მოწადინება იქნება, ყოველგვარი პრობლემა სასიკეთოდ გადაწყდება.

ა. თოროსიანი,
ახალქალაქის რაიონის ხანდოს კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თუ ზღვა მიზეზში მთავარს იპოვი

● რაც ხალხს შეგნებული აქვს ● ვაქციოთ აზრები და წინადადებები მატერიალურ! და სოციალურ ღირებულებებად ● როცა რეკომენდაციას კოლექტივი აძლევს ● 400-გვერდიანი ინფორმაციის კორიანტელი ● ხვდებით ხელმძღვანელები მშრომელებს? ● თუ არ ძალგიძს კრიტიკულად შეაფასო საკუთარი თავი ● სრულყოფილ მუშაკად ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

სკკპ მოღვაწეობის რკინის კანონი, ხელმძღვანელობის უნიშვნელოვანესი პრინციპი და პარტიული ცხოვრების ნორმაა ფართო მასებთან პარტიის ურღვევი კავშირი. უდიდესი სასიცოცხლო ძალა ვ. ი. ლენინის დებულებისა „ჩვენ მხოლოდ მაშინ ^ ^ ^

ფაქტი, რიგი და ჩვენ

უკომპრომისოდ, პრინციპულად, შეუნელებლად...

კანონიერება, მართლწესრიგი — ახალი ამოცანების დონეზე!

სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ერებულმა რესპუბლიკის შრომელებმა ოსეულად იზეიმეს საბჭოთა ართველოს, მისი კომუნისტუ პარტიის სახელოვანი იუბილე ახალი ენერგიით ჩაებნენ პა ების მიზანდასახულობათა განრციელებისათვის ბრძოლაში.

ვენი საზოგადოებრივი განვი ების ამ ეტაპზე განსაკუთრე ი როლი ენიჭება სოციალის ი კანონიერებისა და მართლ ესრიგის შემდგომ განმტკიცებას, ელმწიფო დისციპლინის განუ ელად დაცვას.

ანონიერება და მართლწესრი ჩვენი საზოგადოების, მისი ალაქეების ნორმალური ცხო ების საფუძველია", — თქვა ს ცენტრალური კომიტეტის ბრალუმმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟ ევმა.

საბჭოთა საქართველოს ესოდენ ასპინძელი წარმატებები სახალ ეურნეობისა და კულტურის ელა ფრონტზე მიღწეულ იქნა ორედ კანონიერებისა და მართ ესრიგის შემდგომი განმტკიცე ბ, მანკიერებებთან შეურიგებე ბ.

ბრძოლის შედეგად, საქართ ველოს კომპარტიის ინიციატივითა ბ ხელმძღვანელობით რომ წარ ებს წლების მანძილზე.

პროკურატურის ორგანოებმა, ებებიც აქტიურად მონაწილე ენ ამ ბრძოლაში, გამოავლი ნ სოციალისტური საკუთრების საკუთრებით დიდი ოდენობით ტაცების, მექრთამეობის და დანაშაულობათა ფაქტები.

საქმეში წარმატებები უწინა ს ყოველისა მიღწეულ იქნა ალრო ხოლიტიკის გაუჯობე ებთ, პროკურატურის ორგანოე დან დავითხოვეთ ავტორიტეტ ლახული, საეჭვო რეპუტაციის ბაკები და მათ მაგივრად მოვი ენეთ კეთილსინდისიერი, სამარ ლიანი და კომპეტენტური ადამი ები. გასაგებია, რომ ეს აუ ცილებელი განახლება და გადაბა ესება გრძელდება და კვლავ გრძელდება თანამმდევრულად, უნელებლად, ვიდრე ამას საჭი ება მოითხოვს.

პროკურატურის ორგანოების ელი საქმიანობა ამჟამად ორ ავარ მიზანს ისახავს: ჯერ ერთი, ეთრად უნდა გაუჯობესდეს ოლწესრიგი ქალაქებში, რაიო ბა და დასახლებულ პუნქტებ . განსაკუთრებით უნდა გააქტი დეს ბრძოლა ისეთ დანაშაუ ებებთან, როგორიც არის ადა ნის სიცოცხლისა და ჯანმრთე ობის ხელყოფა, ქურდობა და ლეგობა, რათა ამით ხუთწლე ის დიად მიზანდასახულობათა შე სრულებლად შეეუქმნათ შრო ებლებს შემოქმედებითი შრომის ვიდი ვითარება. მეორე მხრივ, ედა უზრუნველყოთ საბჭოთა ანონების განუხრელი შესრულე ი. განსაკუთრებით მკაცრად უნდა ებოდეს კანონის დაცვა ბიუროკ ატიულ ბარიერებთან, რომელთა ბრა ითაც დარღვევა მოხდა. ეს ქმნის ციალინის დარღვევისადმი სას ელის გარდაუვალობის ვითარე ს, აიძულებს ხეთმძღვანელებს ურო მომთხოვნი იყვნენ საკუთა ი თავისა და ხელქვეითების მი მართ.

1980 წელს ჩხოროწყუს რაიო ს პროკურორის სარჩელით უხა ისხო პროდუქციის მიწოდებისა ვის მატერიალური პასუხისმგე ლობა დაეკისრა ლესსეზინის ჩაის ბრიკის დირექტორს ხ. გახარიას, ოაწმრომიელური ხარჯების გაწე ისათვის დაისაჯა ამავე რაიონის ბუაული ჩაის ფაბრიკის ტიტეს ური მ. ფოდუა.

თელავის რაიონის პროკურო ის სარჩელით მიწოდების ხელ ეკრულების დარღვევისთვის გა ახდილი ჯარიმების გამო მატე იალური პასუხისმგებლობა და ზღვრიც თელავის წინდის ფა ბრიკის მომარაგება-გასალებ ს ეროს ეკონომისტს იაგორაშვილს ეკისრეს. სახელშეკრულებო ვა ებულების სისტემატური შეუ სრულებლობისათვის სისხლის სა ართლის პასუხისგებაში მისცეს ალების ელექტრომექანიკური ქა ნის დირექტორი ი. დოლიძე და არნის ზოგიერთი სხვა მუშაკი.

სახელმწიფო დისციპლინის

ეცად დაცვის მიზნით, საჭი ოდ მიგვაჩნია თანამდებობის პი ები, რომლებიც სისტემატურად ღვევენ კანონის მოთხოვნას ამ �იში, არ დავაჯეროთ მატე იალურ პასუხისმგებლობას და სისხლის სამართლის წესით დავსაჯოთ.

საპროკურორო შრომის ეფექტიანობას დიდად ენება ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებანი, რაც არცთუ იშვიათია ჯერ კიდევ ამ ორგანოების მუშაობაში.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე ადგილებზე გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსს ახორციელებს სამართალდამცავ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას მოთხოვნათა შესასრულებლად.

უყაირათობასთან და სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან ბრძოლის თაობაზე კანონების განუხრელი შესრულება იყო და კვლავ რჩება საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ბოლო ხანს მკვეთრად გაძლიერდა, მაინც დღემდე რესპუბლიკაში არათუ აღმოფხვრილი არ არის, საკმაოდ გავრცელებულ დანაშაულადაც კი ითვლება იგი. სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის და ვაჭრობის სამინისტროების, ცეკავშირის, სამტრესტის, რესპუბლიკური გაერთიანება საქსოფლდამზადების, აგროარეული სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების სისტემის საწარმო-დაწესებულებებში გაფლანგვა-დატაცების ბევრი ფაქტი გამოვავლინეთ.

ეს, რა თქმა უნდა, საქმისადმი, კანონისადმი აღნიშნულ უწყალობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ბრალია.

მექრთამეობას, გამომძალველობას, დატაცებებს და სხვა ანგარებითი ხასიათის დანაშაულობებს სამინისტროები და უწყებები უნდა ებრძოდნენ არა ისე, როგორც ეს ფინანსთა სამინისტროში ხდება — შემოსული სიგნალებს არსებითად უყურადღებოდ რომ ტოვებდნენ, არამედ მთელი სიმკაცრით: კანონის მკაცრად მომარჯვებით, შეუნელებლად.

ბიუროკრატიზმის, უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის ვითარებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ ყოფილი ფინანსთა მინისტრი ანანიაშვილი, ამ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ყოფილი უფროსი ჭანუყვაძე და სხვა თანამდებობის პირები ბოროტმოქმედების გზას დაადგნენ და მექრთამეობას, გამომძალველობას, მოიხვეჭენის მოჰყვეს ხელი. ამჟამად ისინი დაპატიმრებული არიან და გამოძიება მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით ნეგატიური მოვლენებისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა რომ დაიწყო, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზულად და დამჯერებლად გაიფრთხილა ყველა, ვისაც ეს ეხებოდა, რომ ხელი აეღოთ დანაშაულებრივი, უპატიოსნო გზით ცხოვრებაზე და კეთილსინდისიერი შრომით გამოესყიდათ ცოდვები პარტიისა და ხალხის წინაშე. ამისათვის მათ დროც საკმარისი ჰქონდათ, მაგრამ ვინც საბოლოოდ გადაგვარებული აღმოჩნდა, ვისაც ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი გამომძალველობა და ანგარება, პარაზიტული ცხოვრება და მოქმედება, მან თავი ვერ დაიფარა წუმპეს და დამსახურებულად აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე.

სწორად გვაფრთხილებდა და გვაფრთხილებს პარტია, რომ არ შევანელოთ დანაშაულობათა და სხვა ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა, მისი საბოლოო აღმოფხვრა მხოლოდ მწვავე, თანამმდევრული ბრძოლით შეიძლება. ეს სრულიად მარტივი და გასაგები ჭეშმარიტება ნათელი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ეჭვქვეშ აყენებს ცხოვრების ანტიპოდებთან ბრძოლაში პარტიისა და მთავრობის უკომპრომისო, პრინციპულ ღონისძიებათა აუცილებლობას.

ამჟამად ეს ღონისძიებები, საკავშირო სამართლიანად, უწინარეს ყოვლისა მიმართულია მექრთამეობის, დატაცებების და სხვა ანალოგიურ ბოროტმოქმედებათა ჩამდენი, კანონის დამრღვევ თანამდებობის პირთა მიმართ. ეს იმიტომ, რომ ამ კატეგორიის „დამიანთა მიერ ჩადენილ დანაშაულს მეტად მავნე შედეგები მოსდევს. ამით მშრომელთა თვალში სახელი უტყდება საბჭოთა სახელმწიფო აპარატს, ილახება მისი ავტორიტეტი. ეს კი დიდი პოლიტიკური ბოროტებაა და ასეთი ბოროტმოქმედნი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, ლოზუნგი —„ეფექტიანობა და ხარისხი" — 80-იან წლებში კიდევ უფრო აქტუალური იქნება, ვიდრე მეათე ხუთწლედში იყო. ამას გვიკარნახებს ახალი სახალხო-სამეურნეო ამოცანები და ის გარემოება, რომ უხარისხო პროდუქციის გამოშვების შედეგად დანაკარგები რესპუბლიკაში ყოველწლიურად მილიონობით მანეთს შეადგენს.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები ხშირია კვების მრეწველობის სისტემაში. ამ მხრივ განსაკუთრებით უხეში დარღვევები გამოვლინდა სოხუმის მთავარ საკონსერვო ქარხანაში, აგარის საწარმოო გაერთიანებაში, ლანჩხუთის, ხობისა და მარნეულის საკონსერვო ქარხნებში და სხვ.

1980 წლის აპრილში როსტოვის სავაჭრო ბაზამ ხობის საკონსერვო ქარხანას დაუბრუნა 24.910 მანეთად ღირებული 27.452 ქილა უხარისხო მანდარინის წვენი. აღნიშნული პროდუქცია ჯერ კიდევ 1973 წელს იყო დაწუნებული, როგორც უხარისხო და წესითა-ნელახლა უნდა გადაემუშავებინათ, მაგრამ ხელიც არ უხლიათ და 7 წლის შემდეგ ისევ მიაწოდეს მომხმარებელს.

გასულ წელს ქ. სოხუმის პროკურატურამ გამოავლინა სოხუმის მთავარი საკონსერვო ქარხნის მიერ უხარისხო პროდუქციის დიდი ოდენობით გამოშვების ფაქტი, რის შედეგადაც სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი 140 ათას მანეთს აღემატება. ამჟამად ქარხნის დირექტორის, მთავარი ინჟინრის და სხვათა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების აღკვეთისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით რესპუბლიკის პროკურატურამ შეიმუშავა პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყოველ კვარტალში შემოწმდეს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობა. აღნიშნული კატეგორიის ყოველი სისხლის სამართლის საქმე და მასალა აყვანილია კონტროლზე.

იმ ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ სასურსათო პროგრამის განხორციელების მიზნით დაუსახა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა აღნიშნული სფერო ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

სსრ კავშირი—ინდოეთი

საკლესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

დედამიწის ზურგზე

6 აგვისტო

თანამშრომლობის გზით

საქართველოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების მეათე წლისთავს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავჯდომარის მოადგილემ ა. ჟღენტმა თქვა:

— ღრმად სიმბოლურია, რომ ხელშეკრულების წლის თავის დღესასწაული დაემთხვა დღეებს, როცა ინდოეთი აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს. ჩვენი ქვეყნების ხალხებს დიდი ხანია აკავშირებს მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

დღეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობა იქ წარმატებული თანამშრომლობის ნათელი მაგალითია, რომელიც სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს ეფუძნება. იგი ვითარდება თანასწორობა, ურთიერთპატივისცემის, სუვერენიტეტისა და ერთმანეთის სამინაო საქმეებში ჩაუშეველობის საფუძველზე საბჭოთა კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის 1971 წლის აგვისტოში ხელმოწერილი მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპებით. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავა ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიულმა ვიზიტმა და სსრ კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდისა და ინდოეთის პრეზიდენტის ნილამ სანჯივა რედის საპასუხო ვიზიტმა.

საქართველოსა და ინდოეთის ურთიერთობა შორეულ წარსულში დაიწყო. ჩვენ წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ამ ორ ქვეყანას აქტიური ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენი ხალხების მრავალფეროვანი ურთიერთობა შუა საუკუნეების ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც აისახა.

ვრცელია ინდოეთისა და საქართველოს დღევანდელი ლიტერატურული ურთიერთობა. ქართულ ენაზე აფლერდა ძველი ინდოელი დრამატურგისა და პოეტის კალიდასას ლექსები და პიესები. თარგმნილია რ. თაგორის კ. ჩანდრას, ბ. ბჰაბანის, ა. აჰმადის, ვ. ვარგის, რ. რანგუასა და სხვა ინდოელი მწერლების ნაწარმოებები. ჰინდისა და ინდოელ ხალხთა სხვა ენებზე ითარგმნება რუსთაველის პოემა, უკვე გამოიცა ი. აბაშიძის, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, ო. იოსელიანის და სხვათა ნაწარმოებები.

ამ დღეებში გამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის ინდირა განდის მოთხრობა „დედაჩემი", რომლის თარგმანი ეკუთვნის მ. ასათიანს.

უდმივი ხასიათი აქვს ქართველ და ინდოელ მეცნიერთა და სპეციალისტთა კონტაქტებს მეცნიერული და ეკონომიკური ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში. ამჟამად ინდოეთში მუშაობს ბევრი ქართველი სპეციალისტი, რომლებიც მეგობარ ქვეყანას ეხმიანებიან დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რესპუბლიკის უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში განათლებას იღებენ ინდოელი სტუდენტები. ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ინდოეთის მსუბუქი და კვების მრეწველობის მაწარმოებელი ნაწარმი. თავის მხრივ ინდოეთს საქართველოდან გააქვს სხვადასხვაგვარი ჩარხები, მოწყობილობა, ლითონპროდუქცია, წიგნები,

ყველამ იცის, თუ რაოდენ პოპულარულია ინდური კინო ქართველ მაყურებელთა შორის. ინდოეთში კი კარგად იცნობენ ქართულ სიმღერებს და ცეკვებს. იქ ბევრჯერ ყოფილა საგასტროლოდ საქართველოს ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ს. რედიმ, რომელიც 1980 წელს სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროს ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვია, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოში ყოფნამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, თუ რაოდენ ემოხვევა ერთმანეთს მშვიდობისა და თანამშრომლობის გზით მიმავალი ინდოეთისა და სსრ კავშირის შეხედულებანი და ინტერესები.

(საქინფორმი).



ინდოელი ხალხი დამსახურებულად ამაყობს ეროვნული ეკონომიკის მშენებლობაში კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის გზაზე მოპოვებული წარმატებებით.

დამოუკიდებელი განვითარების წლებში უძველესმა ქვეყანამ მკვეთრად იცვალა სახე. რესპუბლიკა აშენებს ატომურ რეაქტორებს, კოსმოსში უშვებს ხელოვნურ თანამგზავრებს, აწარმოებს ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს და რეაქტიულ საჰაერო ლაინერებს.

დღეს ინდოეთმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოთა პირველ ათეულში.

ამ მიღწევებში მას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დახმარებამ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

სურათზე: რესპუბლიკის დედაქალაქის დელის ხედი.

საკლესის ფოტო.

უ. კ. კენედენმა მიიღო დელეგაციათა ხელმძღვანელები

ჰელსინკი. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კენედენმა თავის საზაფხულო რეზიდენციაში მიიღო სსრ კავშირისა და ფინეთის, იმ დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოთა და ფინელი ახალგაზრდობის III ფესტივალში, და წარმატება უსურვა მშვიდობის განმტკიცების, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში.

უ. კ. კენედენმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი თემაა უბრთვო ზონის შექმნა ჩრდილოეთ ევროპაში. მშვიდობის განმტკიცება, თქვა მან, თანამედროვეობის მთავარი ამოცანაა.

ლიბიის მთავრობის პროტესტი

ნიუ-იორკი. ლიბიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა იმ მტრულ კამპანიასთან დაკავშირებით, რომელიც ვაშინგტონმა ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ გააჩაღა.

წერილში, რომელიც ლიბიის არაბთა ჯამაჰირის უმაღლესი სახალხო კომიტეტის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიუროს მდივანმა ა. ა. ობეიდამ გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავჯდომარეს, აღნიშნულია, რომ ეს კამპანია განხორციელდა ლიბიის წინააღმდეგ აგრესიული აქციების მომზადების მიზნით.

ა. ა. ობეიდა, კერძოდ, იმოწმებს ცნობებს იმის შესახებ, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეიმუშავა ოპერაცია ლიბიის რევოლუციის ლიდერის მ. კადაფის ფიზიკური მოსპობისა და ქვეყანაში ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ.

ლიბია საერთაშორისო გაერთიანების ყურადღებას მიიპყრობს აგრეთვე იმას, თუ რაოდენ საშიშია და როგორ გაუარესდა ვითარება რეგიონში, რაც ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკისა და მოქმედების შედეგია. კერძოდ, აღნიშნულია წერილში, აშკარა პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა ამერიკის მეექვსე ფლოტის მანევრებს ლიბიის ნაპირების მახლობლად, ავრეთვე ამერიკა-ეგვიპტის ერთობლივ წვრთნას ლიბიის საზღვრებთან.

ასეთი პოლიტიკა უნდა მივიჩნიოთ საერთაშორისო ტერორიზმის მაგალითად, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ერთი სახელმწიფო მიმართავს მეორის წინააღმდეგ. ეს არის საერთაშორისო სამართლის აბუჩად აგდება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და მიზნების დარღვევა, ხაზგასმით აღნიშნავს ა. ა. ობეიდა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მიუნხენში მდებარე დასავლეთ გერმანიის ფირმა „მიუნც-უნდ კუნსტფერლაგმა" ბანკებისა და შემნახველი სალაროების მეშვეობით გასაყიდად გამოუშვა „გერმანიის ისტორიის გამოჩენილ პიროვნებათა" სერიის „სამახსოვრო მედალი", რომელიც ეძღვნება რ. გესს — ერთ-ერთ მთავარ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეს, სამუდამო პატიმრობას რომ იხდის ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენით.

ამასთან დაკავშირებით 4 აგვისტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაეცა წარდგენება. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული მედალის გამოშვება და გავრცელება გამიზნულია აქციაა, რომლის მიზანია ნაციზმის დანაშაულობათა და იდეოლოგიის, აგრეთვე თვით ფაშისტური გერმანიის მეთაურთა გამართლება. ამან არ შეიძლება სავსებით სამართლიანი შეშფოთება არ გამოიწვიოს, უწინარესად იმ სახელმწიფოებში, რომლებიც უშუალოდ დაზარალდნენ ჰიტლერული აგრესიის შედეგად და აურაცხელი მსხვერპლი გაიღეს ფაშიზმის განადგურებისა და ამოძირკვისათვის. რ. გესის პატივსაცემად მედლის გამოშვება მილიონობით დაღუპულის ხსოვნის შეურაცხყოფაა.

იქნებება შთაბეჭდილება, აღნიშნულია საბჭოთა განცხადებაში, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უველგან და ყველას არ გამოუტანია სწორი დასკვნები წარსულიდან, რაკი შესაძლებლად მიიჩნიე გამოეშვათ მედლები, რომლის მეშვეობით ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა ერთ-ერთი მეთაური „გერმანიის ისტორიის გამოჩენილ პირთ" მიაკუთვნეს.

სსრ კავშირი

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● ბონი

1.246.200-ით გადიდდა ივლისში უმუშევართა არმიის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როგორც 5 აგვისტოს ნიურნბერგის შრომის საკითხთა ფედერალური სამმართველო იუწყება, უმუშევრობა ქვეყანაში 11 პროცენტით გაიზარდა ივნისთან შედარებით და შრომისუნარიანი მოსახლეობის 5,8 პროცენტი მოიცვა.

● თეირანი

ირანის გაზეთები იუწყებიან ბომბების აფეთქების ამბავს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. აფეთქებები მოხდა ისპაანში, მეშჰედში, ჰამადანსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. იმასაც იუწყებიან, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში კონტრრევოლუციურმა დაჯგუფებებმა ქალაქ არაკის გარშემო 38 ადგილას ცეცხლი წაუკიდეს ტყეებს. სულ ამ უკანასკნელ რამდენიმე დღეში, ოფიციალური მონაცემებით, ბომბების აფეთქებებისა და დივერსიების შედეგად დაიღუპა 915 კაცი.

● ლიმა

აქ მოსული ცნობებით, ბოლივიის პრეზიდენტი გენერალი გარსია მეზა გადადგა და თავისი უფლებამოსილება ქვეყნის მმართველ სამხედრო ხუნტას გადასცა. პრეზიდენტი იძულებული გახდა ეს ნაბიჯი გადადგა სანტა-კრუსის დეპარტამენტში ჯარების აჯანყების ხელმძღვანელების გენერლების ლუხიო ანეხისა და ნატუს ბუშის მოთხოვნით.

სანტა-კრუსში გამოხვლას მხარი დაუჭირეს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო და საშხედრო-საზღვაო ძალების სარდლებმა, იატაკქვეშ მოქმედმა ბოლივიის მუშათა ცენტრმა, აგრეთვე დემოკრატიული და სახალხო ერთიანობის ფრონტმა.

ФОТОИНФОРМАЦИЯ

ХИРОСИМА АР УНДА ГАМЕОРДЕС

„ამ ქვეყნად მშვიდობაზე უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობსო"—ასეთია დღეს ამერიკის იმპერიალიზმის კრედო. ეს „რამეები" ის გახლავთ, რაც ვაშინგტონმა 36 წლის წინათ გვიჩვენა, როცა იაპონიის ქალაქებს ხიროსიმასა და ნაგასაკს ატომური ბომბები დაუშინა. იაპონიის მშრომელებს მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად ახსოვთ ეს ტრაგიკული წარსული და ეხმიან, რომ ქვეყნად მშვიდობაზე მნიშვნელოვანი არაფერია. კაცობრიობისათვის სამახსოვრო სამწუხარო თარიღის მოახლოებას იაპონია ხვდება მშვიდობის მარშებით, ქვეყნის ყველა კუთხიდან რომ დაიძრა ხიროსიმისა და ნაგასაკისაკენ. ამ მარშების ათასობით მონაწილე მოითხოვს დაიცვან კაცობრიობა ახალ თერმობირთვულ კატასტროფათა საფრთხისაგან, ბოლო მოუღონ პენტაგონის ბირთვულ ბაზებად და საწყობებად იაპონიის კუნძულების გამოყენებას.



სურათზე: მებრძოლ გლეხები აკტის პრეფექტურიდან ხიროსიმაში აცილებენ მშვიდობის მარშის მონაწილეებს.

საკლესის ფოტოქრონიკა.

ბრძოლა დაიწყო.

მალე შოიც მოვარდა ქიზიყელთა რაზმით და ზურგიდან დასცხო ურჯულოებს. უმეთაურო ავაზაკები აირივნენ და ალიის გარღვევა სცადეს, მაგრამ ვეღარ მოახერხეს. შოო ლომიკით კაფავდა მტერს და წინ მიიწევდა, უფლისწულის რაზმთან შეერთებას ჩქარობდა.

მალე ჰკიდა თვალი თეთრონზე აძხედრებულ ერეკლეს. გოიდა ბევრის მომსწრე და მნახველი ქიზიყელი. ყმაწვილისაგან ასეთი ომი ჯერაც არ ენახა. ნიავ-ქარივით დაჰქროდა ჭაბუკი და თამაშთამაშით ისე აელვებდა ხმალს, თითქოს, თავად ყოფილიყოს არესი და თავად სჭეროდეს სიკვდილ-სიცოცხლის სასწორი.

— აი, ვინ და ეგ გადაარჩენს საქართველოს, — გაუელვა შოოს, რომელიც უფრო ძეტად აენთო ბრძოლის ცეცხი. სადაც კი ხმლის წვერს უწია, გვამთა გროვა დააყენა.

ნეიშნის ბრძოლა კახთ უფლისწულის ლაშქრის სრული გაძარჯვებით დამთავრდა. მებრძოლებმა გაძარჯვება ძიულოცეს ერთმანეთს. შოოსთან უწვეერული ჭაბუკი მივიდა და უთხრა, ბატონიშვილმა გიბრძანათ ეახლოთო.

შოომ სისხლიანი ხმალი ბალახს შეაწმინდა, აღვირი ერთ-ერთ თანამებრძოლს გადასცა და უფლისწულისაკენ გაემართა.

ერეკლეს ჩამოექვეითებინა და, თუმცა ბეკმაზე იდგა, შოოს უფრო ტანმორჩილი ეჩვენა ვიდრე წეღან. ბოდბელი მოკრძალებით ეახლა უფლისწულს და მუხლი ძოიყარა. ერეკლემ ფეხზე ადგომა უბრძანა. ძეოე ქკვიანი თვალები შეანათა ბოდბელს და უთხრა: — გავიგე, პაპაჩემს ხელბეხარ რუსეთს.

შოოს წამით ეახტანგის თვალები გაახსენდა, გემბახიანან ტრიალ ველს რომ გაპყურებდა მოწყენით. სევდა ძოსძალებოდა მაშინ შეფედყოფილს, ახლა კი მისი შვილიშვილის — პატარა კახის თვალებში იმდენი იმედი დაგუბებულიყო, პარტო კახეთს კი არა, ძთლად საქართველოს ეყოფოდა ნუგეშად.

— დიახ, გახლდით, ჩემო ბატონო, — თავი დახარა შოომ.

— ხომ კარგად ბრძანდება დიდი ვახტანგი, ახდა ბაქარი რასა იქმს, არ ფიქრობს დაბრუნებას?

— მეფეს ასტრახანს დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი, ბატონიშვილს კი მოსკოვს გაგზავნას უპირებდა.

— დიდი ამალა წაიყვანა პაპა ბატონმა რუსეთს, თანაც სულ რჩეულნი კაცი. — საყვედური დასცდა მისი ასაკისათვის ესოდენ უჩვეულოდ, დარბაისლურად მოსაუბრე უფლისწულს. ეერე თითქოს ინანა კიდეც, წამით ჩაფიქრდა და საუბრის თემა შეცვალა — ქვეყნის ერთგულებასა და ვაჟკაცობას გიქებ, დეეგმირო. კარგად გეცოდნია სად აოსი შენი ადგილი, ძაგრამ მე უკეთეს ადგილს ძოგეცემ, სულ დარჩეული ბეშეების ალტარა რაზმს ჩაგაბარებ თელავძი, ბოკვერები აროან და ლოძებად უხდა დამზარდო. დიდ ბატოსსაც ძოვახსენებ ამას. ორი კვირის თავზე სასახლეში ბოგელი.

ორი კვირის თავზე, მას შემდეგ, რაც პაატა დააქორწინა და აღდგენილ კეკაზე ცეცხლი გაიღვივა, შოო თელავს გაეძგზავრა და თეიმურაზ მეფესა და ერეკლე უფლისწულს ეახლა.

თავი IX

დანრეტილი სისხლი

გამოსდა ხანი, და ქართლ-კახეთის სამეფოებს მცირეოდენი სულის ითოქმის დრო დაუდგათ. თეიმურაზ მეორემ, ამ ქკვიანმა და ორსმეზვრეტელმა პოლიტიკოსმა ირანის ახალ მბრძანებელს ნადირ-შაჰს თავი დაუკრა და 1737 წელს ტყვეობიდან დახსნილმა, კახეთის ტახტი დაიბრუნა, თუმცა ამის სანაცვლოდ თავისი შვილები ქეთევანი და ერეკლე გაგზავნა ისპაჰანში. ქეთევანი მალე შაჰის რძალი გახდა, ხოლო ჭაბუკმა ერეკლემ ინდოეთში ლაშქრობის დროს სარდლის ისეთი ნიჭი გამოიმეღავნა, რომ საყოველთაო აუორადღება მიიპყრო. ორი წლის შემდეგ მეფე თეიმურაზმა ირანის სპასალართან ერთად ჭარბელაქნზე და თვით დაღესტანზე გაილაშქრა, მაგრამ ეს გაერთიანებული ლაშქრობა უნიჭო ირანელ სარდალთა გამოისობით მარცხით დამთავრდა. ამავე პერიოდში ქართლში ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი აგიზგიზდა, რომელსაც ამილახვარი ჩაუდგა სათავეში. მაგრამ ამილახვარი, ქართლის მტრების — ირანელების წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ძალაუნებურად მეორე ვეშაპს, თურქეთს დაეყრდნო და ამგვარად ბრწყინვალე პორტას უნებლიე აგენტად იქცა. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზ მეორე კახთა მეფემ მეტი სიზრიანობა გამოიჩინა. მან რუსეთს დროებით თვალი მოარიდა და ირანულ ორიენტაციას დაადგა. თეიმურაზის პოლიტიკა სწორი გამოდგა. ნადირ-შაჰმა ვახტანგ მეექვსის სიძე ქრისტიანული წესით ქართლის მეფედ დასვა, ხოლო კახეთის ტახტი თეიმურაზის შვილს უკვე სახელოვან ერეკლე მეორეს ჩააბარა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო. ქართლსა და კახეთს, დიდი ხნის შემდეგ, კვლავ ქრისტიანი მეფეები განაგებდნენ.

1747 წელს ირანის ტახტის მაძიებლებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ნადირ-შაჰი, რის გამოც შეკოწიწებულმა იმპერიამ აჩრაფად იწყო რღვევა. ამით ქართველებმა— ერეკლე მეორემ ყიზლაშებს ნარიყალა დააკლეკინა და შიგ კახთა რაზმები ჩააყენა. მანამდე ერეკლემ უამრავი ბრძოლა გადაიხადა შაჰის ხან აჯი-ჩელიბთან, ავღანელ აზატ-ხანთან, დაღესტნელებთან ნურსალ-ბეგთან, კოხტა ბელადთან და ჩონჩოლ-მუსასთან. ქართლ-კახეთისა და ერეკლე მეორის ავტორიტეტი, რომელიც მამასთან ერთად ფაქტობრივად ორივე სამეფოს მართავდა, უზომოდ გაიზარდა. ის კი არა და, ევროპაში ხმა გავარდა, სადაც არის ერეკლე ხანი ირანსა და თურქეთს დაიპყრობსო. ევროპელი რაინდები ერეკლეს ჯარში ჩარიცხვაზე და ახალ ჯვაროსანულ ომში მონაწილეობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ეს ცნობები, რა თქმა უნდა, გაზვიადებული იყო. მართალია, დიდმა ქართველმა მეფემ და მხედართმთავარმა მეზობელი სახანოები დაიმორჩილა და ამიერკავკასიაში ჰეგემონია მოიპოვა, მაგრამ ყოველივე ეს ქართველობას ძვირად უჯდებოდა. ქვეყანა სისხლით იწრიტებოდა. გაუთავებელმა ომებმა მუსრი გაავლო მოსახლეობას. საქართველო იყო კიდევ ერთი-ორი დიდი შემოტევა, რომ საქართველოს არსებობა შეეწყვიტა. ამ შემოტევისათვის კი კარგი ხანი ეშზადებოდა თურქეთი, რომელმაც სამი მხრიდან შემოარტყა ალყა ამიერკავკასიას. სამ კოხტინისეტზე გადაჭიმულ ბრწყინვალე პორტას სამფლობელოსთან ბრძოლა, რომელიც შაშის ზარს სცემდა ევროპის ქვეყნებსაც, ბედკრულ საქართველოს აღარ შეეძლო. მთელი უბედურება კი ის იყო, რომ ქართული სამეფოები, იმავე თურქეთის მიერ შავი ზღვის დაპყრობის შემდეგ, მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ქრისტიანულ, ესე იგი ცივილიზებულ სამყაროს.

ვინ ვინ, და ამას ყველაზე უკეთ თეიმურაზ მეორე და მისი ვაჟი ერეკლე ხვდებოდნენ. სანამ ერეკლე ცოცხალი იყო, მტრების მოგერიება ასე თუ ისე ხერხდებოდა, მაგრამ რა ღონებთა შემდეგ? ამიტომ რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი და ის ერთადერთი გზა კვლავ ჩრდილოეთის მეზობლისაკენ — რუსეთისაკენ მიემართებოდა. ქართველობა მეფეებმა და მთელმა ხალხმა კარგად იცოდნენ, რომ მფარველობის კალთას უანგაროდ არავინ გადააფარებდა საქართველოს, რომ ყველა ქვეყანას თავისი ინტერესები ჰქონდა, მაგრამ ამჟამად მართლმორწმუნე რუსეთთან გაცილებით ოლი უხდა ყოფილიყო საერთო ენის გამონახვა, რაც საქართველოს, ბოლოს და ბოლოს, მაჰმადიანობის უღელს აიცილებდა. ყოველივე ამასთან ერთად საჭირო იყო დროის მოგება, რუსთა მფარველობით მოღონიერება და ალტანი რაზმს ჩაგაბარებ თელავძი, ბოკვერები აროან და ლოძებად უხდა დამზარდო. დიდ ბატოსსაც მოვახსენებ ამას. ორი კვირის თავზე სასახლეში მოგელი.

ორი კვირის თავზე, მას შემდეგ, რაც პაატა დააქორწინა და აღდგენილ კეკაზე ცეცხლი გაიღვივა, შოო თელავს გაეძგზავრა და თეიმურაზ მეფესა და ერეკლე უფლისწულს ეახლა.

თავი X

ლოდინი

ქართლ-კახეთის გაერთიანებული ელჩობა ლომისის სალოცავს გასცდა, მერე თრუსოს ხეობით ქვევით დაეშვა და კობში გაივაკა. კობიდან უკვე თერგის ხეობას გუუყვა მხედრონი, სტეფანწმინდა უკან მოტოვა, დარიალის კარი გაიარა და ოვსთა სამფლობელოს მიადგა.

— პაპავ ბატონო, რა დიდი ყოფილა ქვეყანა. მეორე კვირაა მოვდივართ და დასასრული არ უჩანს გზას. ისიც მსმენია, ჩვენი საქართველო სხვა ქვეყნებზე უფრო მცირეაო, და ნეტავი რაღას გვემართლებიან ურჯულონი. იყვნენ და იცხოვრონ თავიანთ დიდ ქვეყნებში, ჩვენ კი დაგვანებონ ჩვენი მცირე ადგილი. განა ომი და სისხლისღვრა უფრო უყვართ, ვიდრე მშვიდობა და ლხინი.

— ეჰ, ჩემო გოლა, მთელი სიცოცხლე მეც მაგას ვფიქრობ და პასუხი ვერ მიპოვია. როდესაც კაცი მცირე ადგილის ძალაუფლებას იპყრობს ხელთ, მეზობლის ეშინია, არ წამართვასო და მის განადგურებასაც ლამობს. როდესაც ამ მეზობელსაც დაიმორჩილებს, იმავე დღეს აგროვებს ჯარს ახალი მეზობლის დასალაშქრავად. მეზობელს კი რა დალევს, ჰოდა, იპყრობს და არბევს ეს კაცი მეზობლებს, სანამ დიდ მიწას არ დაიმორჩილებს და მეფეთ მეფედ არ გამოაცხადებს თავს. ასე იყო მაკედონელი და შაჰ-აბასი, ასე იყო ნადირ-შაჰიც. მაგრამ ადამიანს არ აპატიებს სიხარეს ღმერთი. ადრე თუ გვიან ხუთულასავით ეშლებათ ეს სამეფოები და იმასაც კარგავენ, რაც უწინ ჰქონდათ.

— მერედა, რატომ ვერ ხვდებიან წინაპართა შეცდომებს შთამომავალნი.

— ყველას ჰგონია, რომ სწორედ ის არის გამონაკლისი. სიხარბის ძლევა ძალზე ძნელია კაცთათვის. სიხარეს კი სიბრძაგეც სცოდნია, ხოლო ჭკუით სიბრძაგე და სიბეცე ყველა სენზე უფრო დამღუპველია ხელმწიფისათვის.

— ეგ ეგაა, ბატონო, ეგ ეგაა. ეს ეგ ეს ეგ. ეს ეგ. ეს ეგ.